<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2018 წელი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ავიაკონსტრუქტორის მიხეილ გრიგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების ქარხანასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მიხეილ გრიგორაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=494537 Y=4615319
1:9,700
მიხეილ გრიგორაშვილის ქ.
X=494616 Y=4613920
X=494347 Y=4613552

JSC Aerostructure
Technologies Cyclone

Legal ID: 404496121

სს "აერო-სტრუქტურების
ტექნოლოგიები (ციკლონი)"

ს/კ: 404496121

ATC/23/2018

ქ. თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკისა
კომისიის თავჯდომარეს ქალბატონ თინათინ ნიბლოშვილს

ქალბატონო თინათინ,

სს „აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)" (ს/კ: 404496121, მისამართი: ქ. თბილისი, დასახლება ქვემო ალექსეევკა, ნავთისხევი, საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.086) წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდის," და ისრაელის „Elbit Syastems – Cyclon LTD" - ის შვილობილ საწარმოს. ჩვენი კომპანია ახორციელებს სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების ქარხნის მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულება 90,000,000 აშშ დოლარს აჭარბებს. ჩვენი კლიენტები იქნებიან თვითმფრინავების უმსვილესი საერთაშორისო მწარმოებლები.

ჩვენი კომპანია ამჟამად იღებს ტვირთებს, მასალებს, დანადგარებს საზღვარგარეთიდან, რომელთა მონტაჟიც მიმდინარეობს ქარხანაში. ასევე, როგორც აღვნიშნეთ ურთიერთობა გვექნება მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან, შესაბამისად ტვირთებისა და კორესპონდენციის მიღებისას წარმოიქმნება გაუგებრობები, ვინაიდან ქუჩას სადაც ქარხანა შენდება არ გააჩნია დასახელება და არ არის გაკეთებული დამისამართება.

გთხოვთ მოახდინოთ ქარხნის მიმდებარე ქუჩას მიენიჭოს ქალაქისათვის სასურველი დასახელება და განხორციელდეს დამისამართება.

წინასწარ გიხდით მადლობას.
პატივისცემით,

იანა ბრიკმან-ასრაფი
აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031812155**

თარიღი: **01.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

ასლი
სს "აერო-სტრუქტურების
ტექნოლოგიები(ციკლონი)
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404496121
მისამართი: ქვემო ალექსეევკა,ნავთისხევი

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სს "აერო სტრუქტურების ტექნოლოგიები (ციკლონი)"-ის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის იანა ბრიკმან-ასრაფის 2018 წლის 13 აპრილის საქმე #10/031810380-03 დაკავშირებით, უსახელო ქუჩის სახელდების მოთხოვნით.
როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14- 59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-0118124796**

თარიღი: **04.05.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის:თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 01.05.2018 წლის #03-031812155 (01.05.2018წ. #10-01181211784-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი